



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N _____

000000-00-0-000000000000

__/__/__



საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერს,
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ასლი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კოვზანაძეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 23 მარტის #08-02/40303 წერილის საპასუხოდ გიგზავნით ინფორმაციას სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ სოციალური გასაცემლების მიმღებთა მომსახურების კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სოციალური გასაცემლების დარიგების ტენდერს სოციალური მომსახურების სააგენტო ხუთ წელიწადში ერთხელ აცხადებს. ბოლო ტენდერი 2014 წელს ჩატარდა და ფილიალების დიდი რაოდენობის და მოსახერხებელი მდებარეობის გამო, სს „ლიბერთი ბანკი“, როგორც ბუნებრივი მონოპოლისტი, ფაქტობრივად უკონკურენტო მდგომარეობაში აღმოჩნდა და გაიმარჯვა. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ბანკს შორის 2014 წელს დადებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სოციალურ გასაცემლებს სს „ლიბერთი ბანკი“ საკუთარი ხარჯებით არიგებს, რასაც ბანკი, როგორც კომერციული სუბიექტი, სხვა ხარჯების მსგავსად, სესხის საპროცენტო განაკვეთსა და მისი მომსახურების პირობებში ასახავს. თუკი ისმება საკითხი, რომ ბანკთან დადებული ხელშეკრულება შესაბამისობაში არ არის სახელმწიფო პოლიტიკასთან პენსიონერებისთვის ყოფის შემსუბუქების თვალსაზრისით, მათ შორის ვალის ტვირთის შემსუბუქებისა და საპროცენტო განაკვეთის შემცირების სახით, ეს გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის პირობებსა და,

შესაბამისად, სააგენტოსა და ბანკს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. არსებულ ხელშეკრულებას ვადა 2019 წლის დეკემბერში ეწურება. თუ საჭიროდ მიიჩნევა ზემოაღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეკრულებაში ასახვა, მაშინ შემსყიდველმა მხარემ ბანკთან უნდა განიხილოს მიმდინარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ეროვნული ბანკი, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, აქტიურად მუშაობს სს „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებელი პენსიონერების უფლებების დაცვის მიმართულებით. კერძოდ:

- სეზ-ის მოთხოვნით სს „ლიბერთი ბანკმა“ შეაჩერა პენსიონერებზე ე.წ. „სწრაფი სესხების“ გაცემა, რომლებიც შინაარსობრივად ე.წ. „ონლაინ სესხები“ იყო და მისი გაცემა ხდებოდა გაცილებით მაღალ პროცენტში (მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%), ვიდრე სტანდარტული საპენსიო სესხები. აღნიშნულის გარდა, სეზ-ის მოთხოვნის საფუძველზე, ბანკმა გააუქმა თავდებობის საკომისიო, რომელიც დაწესებული იყო მსგავსი ტიპის სესხებზე და რომლის გათვალისწინებაც არ ხდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას. აღსანიშნავია, რომ იმ მომხმარებლებს, ვინც პრეტენზიით მიმართა ბანკს, უკან დაუბრუნდა უკვე ჩამოჭრილი საკომისიო.
- პენსიონერებისთვის ვალის ტვირთის შემცირების მიზნით სს „ლიბერთი ბანკს“ 2018 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან დაუწესდა მთელის რიგი შეზღუდვები: ახალი მსესხებლებისთვის, რომელთა შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ სოციალური შემწეობები (პენსია, სოციალური დახმარება და სხვა), სესხის მომსახურების კოეფიციენტი განისაზღვრა მაქსიმუმ 30%-ით (ნაცვლად 2015 წლის 1 აპრილიდან მოქმედი 50%-ისა). ეს ნიშნავს, რომ ზემოხსენებული მსესხებლების მიერ სესხის დასაფარად მიმართული თანხა არ შეიძლება იყოს მათი შემოსავლის დაახლოებით მესამედზე მეტი. ამასთან, არსებული მსესხებლებისთვის ზემოხსენებული კოეფიციენტი 2018 წლის განმავლობაში პერიოდულად შემცირდება ასევე 30%-მდე.

ასევე, სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ბანკმა განახორციელა სხვა ღონისძიებებიც:

- პენსიონერების მომსახურება ფილიალების გარდა, ხდება ადგილზეც, სახლში, ბანკის წარმომადგენლის მიერ, მაგალითად, მაღალმთიან რეგიონებში. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია ტელეფონით წინასწარ ჩაეწეროს ვიზიტზე, რათა თავიდან აიცილოს რიგში დგომა. რიგების განტვირთვის მიზნით, ბანკმა გაზარდა სამუშაო საათები პენსიის დარიგების პიკურ დღეებში (5 სამუშაო დღე), როცა სერვის ცენტრები და ფილიალები მუშაობას ერთი საათით ადრე იწყებენ.

სეზ-ი კვლავაც განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას სს „ლიბერთი ბანკთან“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად.

თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, მზად ვართ მოგაწოდოთ დამატებით ინფორმაცია.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი

